ᲡᲘᲚᲥᲜᲔᲢᲘ
SILKNET

№ 641/05-8

ბ-ნ დ. გოგიჩაიშვილს

[redacted]

გთხოვთ განიხილოთ და მიზანშეწონილობის შემთხვევაში უზრუნველყოთ სათანადო ინფორმაციის კომისიის ოფიციალურ გვერდზე განთავსება

ვ. აბაშიძე
10.02.2016 წ.

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის #571/9 გადაწყვეტილებაში 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, წარმოგიდგენთ სს "სილქნეტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების (ოფერტის) 2014 წლის 29 ოქტომბრის რედაქციაში შეტანილ ცვლილებებს:

შეიცვალოს „მოწვევის ოფერტის" 3.2. პუნქტის 3.2.1. და 3.2.2. ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3.2. საერთაშორისო ზარებზე:

3.2.1.საერთაშორისო ზარი მობილურ ქსელში - შეესაბამება კომისიის 2014 წლის 09 ოქტომბრის და 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებებით (საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ) დადგენილ საერთაშორისო ზარების დასრულების (ტერმინაციის) ტარიფებს, კერძოდ, ყოველ ერთ წუთზე - მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისთვის - 0.25 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, სხვა ავტორიზებული პირებისთვის - 0.16 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში.

3.2.2.საერთაშორისო ზარი ფიქსირებულ ქსელში - შეესაბამება კომისიის 2014 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ) დადგენილ საერთაშორისო ზარების დასრულების (ტერმინაციის) ტარიფებს, კერძოდ, ყოველ ერთ წუთზე - მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისთვის 0.15 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, სხვა ავტორიზებული პირებისთვის - 0.09 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში."

ზემოაღნიშნული ცვლილება ძალაშია 2016 წლის 01 თებერვლიდან.

Ł-6/1257-16
10 02 16
2

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 100000 Fax: (+995 32) 2 100001

„მოწვევის ოფერტის“ დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

გთხოვთ, „სილქნეტის“ „მოწვევის ოფერტის“ ზემოაღნიშნული ცვლილებები გამოაქვეყნოთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ–გვერდზე.

პატივისცემით,

ლევან ბუჩუკური
გენერალური დირექტორი